სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N58

ქ. თეთრიწყარო 2022 წელი

ერთი მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **გიორგი წიკლაურის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 მაისის №124.124221261 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 17 მაისის N1647 განკარგულების (მიმართვა SMP220001393) შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის და მასში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დისტანციურ რეჟიმში განხორციელდება მიმდინარე წლის მაისი ან/და ივნისის თვეში, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ თარიღსა და დროის პერიოდში.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს დისტანციურ რეჟიმში გასამართად ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, დამუშავება-რედაქტირება, შესაბამის პორტალზე განთავსება;
2.4.2. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში გასამართად შესაბამისი ვებ-პორტალი;
2.4.3 უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეებისათვის ონლაინ-სიგელების/დიპლომების მომზადება და შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში განათავსოს მათზე შემყიდველი მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა (ლოგო, გერბი ან სხვა);
2.4.4. შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიანიჭოს სისტემური წვდომის უფლება კონკურსის მიმდინარეობის და მისი შედეგების მონიტორინგის მიზნით;
2.4.5. ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ ფორმატში ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს) დღგ-ს ჩათვლით;
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარების შემდგომ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია: მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ვაჟა სულხანიშვილი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;
5.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;
5.3. ხელშეკრულების მე-3 მუხლის შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
6.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
7.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ. თეთრიწყარო,
თამარ მეფის ქ. N34
ს/კ 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი
შპს „ეტალონი-მედია“
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116,
დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

მუნიციპალიტეტის მერი

/გ.წიკლაური/

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2022.05.23 16:11:50 +04'00'

დირექტორი

/მ.ღოღობერიძე/

Etaloni-Media LLC
Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2022.05.23 16:20:59 +04'00'

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“

„ეტალონის“ ფორმატით ინტელექტუალური კონკურსების მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში დისტანციურ რეჟიმში ჩატარება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

შპს „ეტალონი-მედია“ წარმოგიდგენთ პროექტის ნაწილობრივ ხარჯთაღრიცხვას

ხარჯის დასახელება	**თანხა (ლარი)**
კონკურსის შეკითხვების მომზადება-შერჩევა-რედაქტირება-პროგრამული დამუშავება „ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	872
„ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1215
პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება	421,47
ჯამი	2508,47
პლუს დღგ 18%	451,53
სულ	**2960**

დირექტორი

/მ.დოდობერიძე/

ბრძანება:**ბ124.124221261**
თარიღი:**06/05/2022**

,,ეტალონის“ რეგიონული გასვლითი არასატელევიზიო თამაშების ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე - 3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2022 წლის 03 მაისის N02-1242212315 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.,,ეტალონის“ რეგიონული გასვლითი არასატელევიზიო თამაშების ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით(რომლის ღირებულება შეადგენს 2960(ორი ათას ცხრაასსამოცი) ლარს), დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებით, გამარტივებული შესყიდვის თანხმობის მიღების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში, ,,ეტალონი“ - ს რეგიონული გასვლითი არასატელევიზიო თამაშების ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეტალონის მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს ვაჟა სულხანიშვილს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქუჩა N11) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი წიკლაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080173963702722

№ 1647 17 / მაისი / 2022 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 13 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001393 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ მომსახურება (CPV79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), ღირებულებით - 2960 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედია პროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2019 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ხუთი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას მიაწოდოს მომართვაში მითითებული მომსახურება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქპატენტის მიერ გაცემული №1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედია პროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2019 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული

შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას გაუწიოს მომართვაში მითითებული მომსახურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001393 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე